№ 223

1877–1901

№ 223

კვირა, 14 ოქტომბერი, 1901 წ.

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6. . .	6 —
11. . .	9 50	5. . .	5 50
10. . .	8 75	4. . .	4 75
9. . .	8 —	3. . .	3 50
8. . .	7 25	2. . .	2 75
7. . .	6 50	1. . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კვირა, 14 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № [illegible]
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
ბ. ევდოშვილის სადებიუტოთ
წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

ჯადო სიყვარულისა

დრამატ. ეტიუდი 4 მოქმ. თხზ. კარპოვისა, გადმოკ. ა. ნათაძის მიერ,

დათვი

ვოდ. 1 მოქმედებად, თხზ. ჩეხოვისა, გად. გრ. ვოლსკისმიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა, ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ევდოშვილი, იმედაშვილი, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 21 ოქტომბერს; მზადდება „უცოლოთა კლუბი“ კომ. 3 მოქ. და „ვენეციელი ვაჭარი“ კომ. 5 მოქ.

(3—6.—1)

ქუთაისის მწარმოებელთა კრების საბჭო აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისს **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა შემდეგი სამუშაოები ქიათურაში:

1. რგანის გზა-ტკეცილის გამართვა; სამუშაო 3332 მან. 70 კაპეიკისაა.

2. სამრეწველო გზების შეგრება; სამუშაო 2056 მან. 80 კაპ. სულ სამუშაო 5389 მან. 50 კაპეიკისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარუდგინოს საბჭოს ბეი ხარჯთ-აღრიცხვით აღნიშნულ თანხის 5% ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ვაჭრობას საბჭო ამტკიცებს.

ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში.

(3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ აკოპიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შჰაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ყ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა ნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 12 ოქტომბერს, საღამოზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში კავკასიის შინა მრეწველთა კრებაზედ მოხსენებანი წაიკითხეს: ს. მ. ზავაროვმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას შესწავლილი სტატისტიკურადა და ეკონომიურად კავკასიის შინა მრეწველობა; ო. ი. შმერლინგმა—თუ როგორ იქმნეს შეგროვილი ძველის-ძველი ნაწარმოებნი შინა მრეწველობისა და როგორ შემუშავდეს ხელოვნურადა და გაუმჯობესდეს ეს ნაწარმოებნი.

*** კავკასიის შინა მრეწველებმა 12 ოქტომბრის სხდომაზედ პირველად ა. სააკოვის მოხსენება განიხილეს კავკასიაში ერობის შემოღების საჭიროების შესახებ. ბ-ნმა სააკოვმა საყურადღებო ცნობები მოიყვანა საერობო გუბერნიების ცხოვრებიდგანა და განაცხადა, რომ რუსეთის ერობანი წელიწადში 268,000 მანეთს ხარჯავენ ხალხში შინა მრეწველობის განვითარება-წარმატებისათვის და ჩვენში-კი დღემდის ერთი გროში არ დახარჯულა ამ საქმეზეო. უმრავლესობა თანახმა გაუხდა სააკოვის მოხსენებასა და საჭიროდ სცნო კავკასიის შინა მრეწველობის განვითარება-გაუმჯობესებისთვის კავკასიაში რუსეთის შუა გუბერნიების მგზავსად ერობა იქმნეს შემოღებული.

როგორც აღვნიშნეთ, თავ. გ. მ. თუმანოვმა სთხოვა კრებას იშუამდგომლოს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ მის მიერ ტფილისში დაარსებულ ხალიჩების საქსოვ სახელოსნოს ყოველ-წლობით 2000 მან. სუბსიდია დაენიშნოს. კრებამ მიიღო გარდაწყვეტილება, რომ შუამდგომლობა აღძრას იმ პირობით-კი, რომ სახელოსნოში სტიპენდიანტებათ იქმნენ კავკასიის იმ კუთხის მცხოვრებთა შვილები, სადაც შინა მრეწველობას მისდევენ. კრების დასასრულ საყურადღებო ცნობები წარუდგინა ი. ქუთათელაძემ ქუთაისის გუბერნიაში შინა მრეწველობის განვითარების შესახებ; მოხსენებასთანავე მან უჩვენა კრებას მის მიერ შეკრებილი კოლლექცია სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა აბრეშუმეულობისა, მატყლეულობისა და სხ. მომხსენებლის ჰაზრით, ადგილობრივს მრეწველობას რომ წარმატება დაეტყოს, საჭიროა გაუმჯობესდეს ნაწარმოებთა გასაღების საქმე და დაარსებული იქმნეს ამიტომ მუზეუმი ქუთაისში სავაჭრო საწყობით, დაინიშნოს ქუთაისის გუბერნიისათვის ინსტრუქტორი და სხვანი. კრებამ მცირე შესწორებით მიიღო ქუთათელაძის მოხსენება.

*** ხვალ, 15 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოში განსახილველად დანიშნულია ყველა ის საქმეები, რომლებიც 8 ოქტომბრის სხდომაზედ დარჩნენ განუხილველნი.

*** როგორც სად. კოვლიარიდგან იუწყებიან, 13 ოქტომბერს, მატარებელი № 5 ვიღაც ბოროტგანმზრახველთ მე-420 ვერსზედ დაუყენებიათ ვესტინგაუზის ტორმოზის საშუალებით, მაგრამ დამდგარა თუ არა მატარებელი, დამნაშავენი მაშინვე გაქცეულან. მიზეზი მატარებელის დაყენებისა არავინ იცის.

*** განზრახვა აქვთ ამიერ-კავკასიის რკინის გზა უცხოეთის რკინის გზებს პირდაპირ შეუერთონ.

*** შეუმუშავებიათ ახალი პროექტი იმის შესახებ, თუ შემნახველ-გამსესხებელს კასებში დაგირავებულს ნივთებზედ შესანახი რა უნდა ერთმეოდეთ იმის-და მიხედვით, რასაკვირველია,—რომელი ნივთი რამდენად ადვილი და ძნელი შესანახია.

*** საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული, რომ სამსახურიდგან გადამდგარს ძველის ენების მასწავლებლებს ახალი რამ ღონისძიება აღმოეჩინოთ საცხოვრებლად.

*** სუმბათოვოს სადგურიდგან იუწყებიან, რომ 13 ამ თვისას, დილის 6 საათზედ, ბორჯომის რკინის გზის შტოს ასაქცევის მე-8 ვერსზედ, საქონლის მატარებელს № 229 ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სოფ. ქვიშხეთის მცხოვრები მუშა როსტომ ქველიძე გაუსრესნია.

*** როგორც უმართებულესი სენატი განმარტავს, ნატარიუსის თანამდებობის მიმღებმა უთუოდ თურმე საჭირო ეგზამენი უნდა დაიჭიროს, თუნდაც სასამართლოს უწყებაში ჰმსახურებდეს.

*** მალე ჯეროვანი მთავრობა ნადირობის შესახებ არსებულ კანონების განხილვას შეუდგება.

*** კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტი შუამდგომლობის დაწყებას თურმე აპირებს სამინისტროს წინაშე, რომ გამოფენა 20 ნოემბრამდე არ დაიხუროს.

*** საერო განათლების სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს საშუალო და უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში ებრაელების მიღება შეამციროს.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, საეკკლესიო გალობა და ბავშვების გუნდებათ სიმღერა სავალდებულო საგნებად თურმე უნდა იქმნენ მიღებულნი კერძო სასწავლებლებში.

*** როგორც „Тифл. Л.“ატყობინებენ დეპეშით პეტერბურგიდგან, დაღესტნის გუბერნატორი თავ. ა. ა. ბარიათინსკი კავკასიის ჯარების ოლქში დაუნიშნავთ, თანამდებობიდგან გადაყენებით.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოსწავლო-სატეხნიკოკო მიტეტს ტფილისის ელექტრონით განათების პროექტი „გელიოსისა“ უკვე დაუმტკიცებია.

*** როგორც გვატყობინებენ, ახალ ბაიაზეთის მაზრაში ამას წინად რამდენსამე კაცს ას-ასი მანეთი გამოუღია და დაუარსებიათ სახელოსნო, სადაც მიიღებენ 16 კაცს, რომელნიც სასწავლოდ ნაშუადღევს თურმე ივლიან სკოლაში. ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიან სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა დამზადებას.

*** საერო განათლების სამინისტროს ორი ტიპის საშუალო სატეხ-

ნიკო სასწავლებელი მოუწონებია. ერთი ამათგანი (ქალაქის სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულებისათვის იქმნება 4 წლის კურსიანი, უმეტეს ნაწილად პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის, მეორე 8 წლის კურსიანი, რომელში სწავლა-დამთავრებულთაც უფლება ექმნებათ უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში შევიდნენ.

*** საერო განათლების სამინისტროს ყველა სამოსწავლო ოლქებში წინადადება გაუგზავნია, რომ პირველ დასაწყისს სკოლებთან წიგნთ-საცავ-სამკითხველოები იქმნეს დაარსებული, საიდგანაც ხალხს წიგნები უნდა აძლიონ საკითხავად.

*** სენატი განმარტავს, რომ საბჭოს მხრივ ნების დაურთველად გუბერნატორის მიერ ქალაქის მოურავის დროებით დათხოვნა უკანონობაა.

*** ფოთის სადგურიდგან იუწყებიან, რომ 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ფოთის ნავთსადგურის მთავარს ლიანდაგზედ მატარებლების გამოცდის დროს მეისრე პავლე რუმიანსკი მატარებელს გაუსრესნია.

მომშეულთა მაღა.

სცენა დუქანში.

(ვუძღვნი მათ, ვინც ამ ამბავს მომშეულზე წაიკითხავს).

შუა შემოდგომა იყო. კოკის-პირულად წვიმდა. ჭიათურაში ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი შესწყდა, ხმაურობა მიწყნარდა. მაღაროებში მომუშავეთა გარდა, ყველამ სახლებს, დუქნებს ანუ სხვა რამ სახურავებს მიაშურა თავის შესაფარებლად. ქალები და ბავშვები ძლივს გადიოდნენ გზებზედ მოვარდნილ, შავი ქვის მტვრისაგან მელნად გადაქცეულს ნიაღვრებს.

ყვირილაზედ გადმოდგმულს, ჩვენებურს ერთს ისეთს დუქანში, სადაც ერთადა თავსდებიან პატრონი, დახლიდარი, საჰმელ-სასმელი, მუშტრები, შინაური ფრინველი და დედა-ღორი გოჭებიანათ, თავი მოეყარა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან გადმოხვეწილს მუშებს. აქ იყო კუდაბზიკობას გადაჩვეული იმერელი; მაჭახელა-გადავიწყებული გურული; მეგრელი, რომელიც თავისს დღეში ცხენზედ არა მჯდარა; რაჭველი, რომელსაც არც კურტანი მოუკიდნია ზურგზედ, არც მესტვირედ უვლია და არც მათხოვარად; ლეჩხუმელი, რომელსაც არასოდეს ქურდისათვის ხელი არ დაუცლია; სვანი, ქალაქის გემო-აღებული და ქართლელი, კუჭის წვისაგან ქართლს გარეთ ფეხ-გადადგმული.

მუშტრები გავიდნენ ღრიალით მიმდინარე და უცებ ადიდებულ ყვირილაზედ გადადგმულს აივანზედ ტ მოითხოვეს სადილი. გაიმართა ამისთანა შემთხვევაში ქართველ მედუქნეებთან ჩვეულებრივი დავა:

— რას ინებებთ, ბატონო?—შეეკითხა მედუქნე.

— რა გაქვს?

— რასაც ინებებთ!

— მწვადი შეგვიწვი, ღვინო მოგვიტანე!

— სამწვადე არ გახლავს!

— მაშ, აბა რა გაქვს?

— რასაც მიბრძანებთ!.. და ასე, ამ გვარად იდავეს, სანამ მედუქნემ არ მოართვა, რაც ჰქონდა და მომშეულები ჭამას არ შეუდგნენ.

გამხმარმა პურმა, დაძმარებულმა ღვინომ და ქვა-კირად გადაქცეულმა ყველმა თითოეულს მათგანს მოაგონა და მოანატრა შინაური საჭმელი.

— აი, ბეჩა, ჩემს რცხილებს ქვეშ, მოხდილ ჭურის თავთან დამაჯდინა ახლა თქვენიანათ, სთქვა იმერელმა: რავა გაგბრუჟავთ, ბეჩა, კრახუნათი და რავა გამოგაძღებთ თორნის გახიკინებული, ცხელ-ცხელი მჭადებით და ჭყინტი ყველით!..

— გისმინოს, ძამია, ღომის კარელმა და ჯუმათის მაცხოვარმა! იმ შენი რცხილების ქვეშიდან და ჭურის თავიდან, აგვსვა, დაგვსვა და ჩემ ოდის პარმალზე დაგვსვა... ვაი, ნენა, გამჩენის მადლმა, ერთ ლანდზე აგივსებდით სუფრას: უმარილ წასმულ ციცასავით თეთრი ღომით, მძაღე ძმარში გაკეთებული ქათმით, საცივათ შემზადებულ ინდაურით, კეციაზე შემწვარ ჩვენი ბეჟუჯის კალმახებით და საწებლით! ღვინო... კრახუნა ჩვენში მის დღემჩი არ ყოფილა, ჯანი და ჩხავერი ახლა ტელემაკ გურიელსაც წამლათ თუ ეშოვება, თვარა მე ვინ მომკვლის, მარა ანდასოულითკი კურცხლებს გადმოგაყრევინებდით თვალებიდან... კურცხლებს!..

— ქვე, ამ გურიელმა მადაზე არ მომიყვანა—ჭი! მრავალ-ძლის წმინდა გიორგიმ აგასრულებინოს თქვენი ქადილი! ქვე, მეც არ შეგირცხვებით-ჭი, მაშინ. ჩემსა, ამბროლაურში, რომ მოგაბძანათ-ყე, ქალს ჯორის ტლინკებივით დავაფაცურებდი, ხელათ დამცხვარ თორნეულებს-ჭი, რძით გაზდილ გოჭუნას შამფურზე კან-დაბრაწვით შემწვარს, ხონჩით მოგართმევდითჭი. თან ერთს ჩაფს თამარ მეფის თვალებივით შავს ღვინოს გვერდით ამოგიდგამდით-ყე...

— ჰო და კაი მოგცეს ღმერთმა მაგ კაი მასპინძლობაზე მეც სირცხვილ ნამუსიანათ დაგხვდებოდით ჩემს ოპიტარაში,—ჩაურთო ლეჩხუმელმა. თუ ღმერთი თქვენისთანა პატიოსნებს მაწვევდა, ისე რა ჩემი ცოდვა გამოაცალიერებდა ჩემს ბეღელ-მარანს, რომ კეცებზე დამცხარი აფუებული პურები, რგვლათ მოხარშული ორი სამი მთავარი—უკაცრაული მოხსენებაა—დედალი, სიმსუქნისაგან—უკაცრაული მოხსენებაა—კურტუმო გადმობრუნებული, ღადარში შემწვარი ახალი—უკაცრაული მოხსენებაა—კვერცხები და ჭურიდან ახალ-ამოღებული ალექსანდროულის ნუნუა თქვენდა საკადრისათ არ მომერთმია...

— ჰაი, ჰაი, დაილოცოს იმერეთის პურ-ღვინოი! რა იშტაზე მომიყვანეთ, თქვენი გამჩენის მზემა, რო იცოდეთ, ერთ-ერთი ახლავ წამიყვანდით სახლშია, აი!.. ჩემდა თავათა, შვილოსა, თქვენისთანა ბიჭებისათვის კაკლის ძირშია სუფრასა მწვანეზე გავშლიდი და ზედაც დაგიდებდით ღვთისაგან მოცემულსა-ნამცხვრებსა, მოხარშულ დეკეულის ხორცსა, მწვანილსა, მოთალსა და ერთს-ორს თუნგს წითელ კახურსა. ვენაცვალე იმის გამჩენსა, ჰაი!..

—ჩემსა სუ ახალ შემოდგომაზედ დაგპატიჟებთუ, დასძინა მეგრელმა. თქვენს მოსაწონსუ ვერ აფერს გიშოვნითუ, მარა იმისანა ჭანდირს ძირში დაგაჯდენთუ, თუ ღმერთმა დარი ინება, რომე დადიანს და გურიელს ეკადრებოდეს. მერე, სულ რომ ჩამოვითხოვო, ან მოვიპარო, მაინც მოგართმევთ: ახალ სულუგუნებს, ცივათ მოხარშულს ქაცარს თიკანი) ტაბუცუნითუ, მაწონს, სიმინდეის ღომს, ჭყინტს სიმნდს ნაკვერცხლებზე შემწვარს, გარჩეულს, ახალ-ახალ, თოთო ნიგოზსუ და თხილსუ, შემწვარს კვახს, წაბლივით რომ პირში იფშვნებოდესუ და ორს-სამს დოქს წყაროში ჩაცივებულს ადესის ღვინოსუ. მეტს ვერაფერს დევიტრაბახებ სწორებით... აზნაურობაში დამტკიცებამ გამწყვიტა წყლში, თვარა ამისთანა მასპინძლობასუ რავა გაკადრებდით, უწინდელ ყოფაში რო ვიყო, თქვენ ხართ ჩემი პარტენი.

— ჰო, და მე თქვენისთანა პატიოსნებში წვევას მოვნდომებივარ და სამაგიეროს ზღვევა როდისღა მერგება-ღა? აღარც ისეთი ბაღანა ვარ, რომ მრავალ ჟამს გავძლო... თუ-ღა ვიცოცხლე იმ ჟამამდი, რომ თქვენ გნახავდეთ ჩემს კოშკში ბეჩოს,—ერთს, სომეხივით ჩარგვალებულს, ძრიხას დაგიკლავთ,—სუკი ბევრი ავა ზედ, სათბილო და ბეჭი... მიზდექით და ბლაყნეთ... ქერის პურებს კიდევ ბევრს დაგიყრით ზედ, გუდით არაყს გამოგიკოტრიალებთ, თუ გინდათ ქე ჩეიხრჩვით შიგ... სხვა რომ მოინებოთ რამე კიდევ, ჩიყვს თუ მოვიჭრი თუ არა, მეტს ვერ აფერს გიშოვნით-ღა...

თ. მაგმაძე

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წლიური კრების საყურადღებოდ.

—

ვისაც ჩვენის ცხოვრების განვითარებისათვის ოდნავ მაინც თვალყური უდევნებია, იგი უთუოდ აღნიშნავდა იმ დიდ ღვაწლს და შრომას, რომელიც დღეს-დღეობით „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიუძღვის ჩვენი ერის თვითცნობიერების განსამტკიცებლად. ყველა ჩვენ დაწესებულებათა შორის ეს საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელმაც ხალხის გულში, წოდებათა და პარტიის განურჩევლად, მოიხვეჭა საერთო სიმპატია, ეს ერთად-ერთი საზოგადოებაა, რომელიც ყველა შეგნებულ ქართველისათვის ერთნაირად ძვირფასი და საყვარელია. ეს საერთო სიყვარული და თანაგრძნობა, რაც ასე იშვიათია ჩვენს უბადრუკ ცხოვრებაში, მართლაც რომ საზოგადოებამ ღირსეულად დაიმსახურა. თვით საზოგადოების დიდი მიზანი, წერა-კითხვის გავრცელება მდაბიო ხალხში, მეტად სიმპატიურ და დიდმნიშვნელოვან დაწესებულებად ჰხდის ამ საზოგადოებას ხალხის თვალში.

საზოგადოების მეთვალყურენი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, გამგეობის წევრნი მთელ თავისუფალ დროს საზოგადოების კეთილად წარმართვის საქმეს ახმარებენ, მთელი მათი შრომა და ენერგია ამ საზოგადოებას ეკუთვნის, ამ საზოგადოების საკეთილდღეოთაა წარმართული. მთელი ოცდა ორი წლის განმავლობაში გამგეობის წევრნი იშვიათის მხნეობით, მამაშვილურის სიყვარულით, მედგრად თავს დასტრიალებდნენ საზოგადოებას და მართლაც რომ მათი შეერთებულის შრომის ნაყოფი სანუკარი და ფასდადებულია. გამგეობის წევრთა მხნეობით და მეცადინეობით საზოგადოება „არა რაისაგან“ ჩაკვიდრს ნიადაგზედ დამყარდა, მათის დაუღალავის შრომით საზოგადოებამ კეთილად წარმართული დაწესებულების სახე მიიღო და დღეს-დღეობით იგი, შეძლების და გვარად, ჩვენთვის არა ერთს დიდ მნიშვნელოვან საქმეს აწარმოებს.

1900 წლის ანგარიშიდან სჩანს, რომ ეს საზოგადოება განაგებს რვა სკოლას, მათ შორის სამ სკოლას სრულიად თავის ხარჯით ინახავს, სამის სკოლის ხარჯს თითქმის ნახევრად ეწევა, თავისივე ხარჯით ინახავს ექვსს სახალხო ბიბლიოთეკას, აწარმოებს საზოგადოების წიგნის მაღაზიას და აგრეთვე განსვენებულ ალ. როინაშვილის მიერ ნაანდერძევ ფოტოგრაფიას, დრო გამოშვებით ბეჭდავს სახალხო წიგნებს, აგროვებს ჩვენს სხვა-და სხვა კუთხეში კიდევ დაცულ ძველ ხელთნაწერებს და ძველ ფულებს, უწევს დახმარებას სხვა სკოლათა, ბიბლიოთეკათა წიგნებისა და ფულის გაგზავნით.

მოხსენებული საწარმოო საგნები მეტად რთული და სამძიმოა და, მაშასადამე, გამგეობა საზოგადოების მიერ დაუხმარებლად უძლური შეიქმნება გააფართოოს თავის-მიერ არჩეული სამოღვაწეო ასპარეზი, პირნათლად შეასრულოს თვით ის საქმე, რომელიც აღნიშნულ ჩარჩოებში შემოუფარგლავს. ამიტომ თვითოეული ჩვენგანი ზნეობრივად მოვალეა დაეხმაროს გამგეობას სიტყვით თუ საქმით და მით გაუადვილოს საზოგადოებას იმ დიადი საქმის განხორციელება, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საქმეს ეძახიან. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ გამგეობა, როგორც ყოველთვის, ყველას საბუთიან რჩევას დიდის სიამოვნებით მიიღებს და, შეძლების და გვარად, საზოგადოების საკეთილდღეოდ კიდევაც განახორციელებს. ჩვენ კერძოთ ამ პატარა წერილში გვსურს მივცეთ საზოგადო კრებას და აგრეთვე მომავალ გამგეობის წევრთ ორიოდე რჩევა, რაიც, ჩვენის აზრით, საზოგადოების მიერ დასახულ მიზნის განხორციელებას ხელს შეუწყობს.

საზოგადოების უმთავრესი აზრი და მიზანი მდაბიო ხალხში წერა-კითხვის გავრცელებაა. ამ მიზნის განსახორციელებლად საზოგადოებას, სხვა საშუალებათა შორის, დაარსებული აქვს რვა სკოლა და ექვსი ბიბლიოთეკა. ამ სკოლებს და ბიბლიოთეკებს ჰყავთ თავიანთი ადგილობრივი მეთვალყურენი, ხოლო უმაღლესი კონტროლი და ყურის გდება ჩაბარებული აქვს თვით საზოგადოების გამგეობას.

საზოგადოების გამგეობა, როგორც კოლლეგიური დაწესებულება, სკოლების დასათვალიერებლად და სარევიზიოდ ჰგზავნის ჩვეულებრივად თავის ერთ-ერთს წევრს. გამგეობის წევრთა შორის ბევრნი არა პედაგოგებიც მოიპოვებიან და, მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ მათი სარევიზიო იქმნ[illegible] [illegible]ილის სურათის [illegible] იქმნეს, შემცდარი გამოდგეს ხოლ[illegible]მე. კიდევაც რომ ყველა გამგეობ[illegible] წევრნი პედაგოგებისაგან შესდგ[illegible]ბოდეს, მაშინაც სკოლების რევ[illegible]ზიის საქმე შეფერხებული ი[illegible]მნება, რადგანაც ბ-ნნი რევიზო[illegible]რები, თავის კერძო საქმისა ა[illegible] სამსახურის გამო, ისეთს უდროო[illegible] დროს მიემგზავრებიან სარევიზიოთ[illegible] როცა სკოლაში სულ ცოტა შ[illegible]გირდები მოიპოვება. ესეც არ იყოს[illegible] როცა სკოლებს სულ სხვა-და-სხვ[illegible] პირები ათვალიერებენ, მათში ს[illegible] ერთო სისტემის, ერთის მიმართუ[illegible]ლების დამყარება მეტად ძნელია, [illegible] თუ სულ შეუძლებელი არ არის.

ამიტომ, ჩვენის აზრით, სკოლ[illegible]ბის პირდაპირი ინტერესი მოით[illegible]ხოვს, რომ საზოგადოებამ იყოლიო[illegible] თავისი საკუთარი სკოლების მ[illegible]თვალყურე, რომელიც პირველ და[illegible]წყებითი სწავლის საქმეში ღრმა[illegible] დახელოვნებული პედაგოგი იყოს[illegible] ამგვარი პირი სკოლებში ერთგვ[illegible]რობას, ერთ სისტემას შემოიღებ[illegible] და სკოლების კეთილდღეობის საქ[illegible]მეს სასურველად მოაგვარებს. სკო[illegible]ლებ[illegible]ს საკუთარი რევიზორის და[illegible]ნიშვნის წინააღმდეგი პრინციპიალუ[illegible]რად არც საზოგადო კრება გახდ[illegible]ბა და არც მომავალი გამგეობ[illegible] ხოლო თუ მაინც რაიმე საწინააღ[illegible]დეგო აზრი წარმოითქმის, ამ მო[illegible] საზრებას სარჩულად მხოლოდ ს[illegible]ზოგადოების აწინდელი ნივთიერ[illegible] შევიწროება დაედება.

მართალია, საზოგადოება ამ ჟ[illegible] მათ ხელ მოკლედაა, და, მაშასადა[illegible]მე, ახალის თანამდებობის შემოღ[illegible]ბა საზოგადოებას მძიმე ტვირთად[illegible] დააწვება, მაგრამ, თუ ამასთან[illegible] ახლად დანიშნული რევიზორის მო[illegible]მავალ ნაყოფიერ მოქმედებასაც გ[illegible]ვითვალისწინებთ, მაშინ მძიმე ტვირ[illegible]თი ისე სამძიმო აღარ გამოჩნდება[illegible]

ახალი რევიზორი, თუ ენერგიუ[illegible]ლი პირი იქმნება და ღირსეულად [illegible] შეუდგება საზოგადოების სამსახურს[illegible] თავის წლიურს ჯამაგირს თვითონ[illegible] აიღებს, იგი საზოგადოების კასს[illegible] მეტ ხარჯად არ დააწვება. წარსულ[illegible] წლის ანგარიშით საზოგადოების წევ[illegible]რად 669 კაცი ითვლებოდა. ორთ[illegible] შუა რომ თვითოეული წევრის გარ[illegible]დასახადი სულ უკანასკნელი ექვს[illegible] ექვსი მანეთი ვიანგარიშოთ, ამ რი[illegible]გად საზოგადოებას საანგარიშო წელ[illegible]უნდა შემოსვლოდა 4014 მან., ნამ[illegible]დვილად-კი შემოსვლია სულ 747 [illegible]მან. 50 კაპ. ენერგიული რევიზორ[illegible] საწევრო ფულს, თუ სულ არა, სამ[illegible] მეოთხედს მაინც შეკრებს. ეს მით[illegible] უფრო ადვილად მოხერხდება, რომ[illegible] პირადს კანონიერ მოთხოვნილებას[illegible] ასეთის სიმპატიური დაწესებულ[illegible]ბისას, როგორიცაა „ქ. შ. წერა-[illegible]კითხვის გამავრცელებელი საზოგ[illegible]დოება“, არც ერთი ქართველი უარ[illegible] არ ეტყვის და თავის დროზე გაუ[illegible]ჭირებლად შეიტანს საწევრო ფულს.

ჩვენ კერძოთ ამ მოკლე ხანში[illegible] საზოგადოების საქმეთა გამო ძველ[illegible] სენაკში მოგვიხდა ყოფნა და როცა[illegible] ლაპარაკი ჩამოვარდა საზოგადოების[illegible] ლონის ძიებათა შესახებ, უმალვ[illegible] ხუთმა პირმა დიდი სიამოვნებით[illegible] წევრობის სურვილი გამოაცხადეს [illegible] სამი თუმანიც გარდმოგვცეს. დღეს[illegible] დღეობით საწევრო ფული საზოგ[illegible]

დოებას თითქმის სრულიად ეკარგება, თუ ვინე თავისის სურვილით შემოიტანს, — თორემ გამგეობას საშუალება არა აქვს მოსთხოვოს თავის დროზე და კიდევაც რომ ჰქონდეს, ფულების წერილობითი მოთხოვნა უთხოვნელობის მომასწავებელია. რევიზორი კი პირადის მოლაპარაკებით, რჩევით და სხვა ამგვარის საშვალებით სულ ადვილად აიძულებს წევრებს თავის დროზე შეიტანონ საწევრო ფული, და ამნაირად თავის ხარჯს თვითონვე გაისტუმრებს. გარდა ამისა, ქუთაისის თავად-აზნაურობაც 300—400 მანეთს წლიურად არ დაიშურებს ამ საქმისათვის, მით უმეტეს, რომ ამას მოითხოვენ მისი პირდაპირი ინტერესები.

რევიზორის ენერგიული მოღვაწეობა საზოგადოებისათვის დიდ მნიშვნელოვანი შეიქმნება. მშრომელი და ენერგიის მქონე სკოლების მეთვალყურე მოგზაურობის დროს საზოგადოებას სასყიდელით თუ უფასოდ შეუგროვებს ძვირფასს ხელთ-ნაწერებს და ძველს ფულებს, რომელნიც ჯერ-ჯერობით კიდევ ბლომად მოიძებნებიან საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში; გააცნობს საზოგადოების მიზანს და მნიშვნელობას ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მკვიდრთ, მოუპოვებს საზოგადოებას ახალს და საიმედო წევრებს, აღძრავს სურვილს შეძლებულ პირთა შორის საზოგადოების დასახმარებლად და სხვ. ამ ნაირად მომავალი რევიზორი სულიერ კავშირს დაამკვიდრებს საზოგადოებასა და ჩვენის ქვეყნის შორეულ მკვიდრთა შორის, რაიც ძვირფას განძად უნდა ჩაითვალოს თვით საზოგადოების კეთილად წარმატებისათვის.

სკოლის რიგიანი წარმოება, სხვა პირობათა შორის, უმთავრესად დამყარებულია მასწავლებლების კეთილ სვინდისიერ და დაუღალავ შრომაზე. ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმე მეტად მძიმე და პასუხის საგები ტვირთია, და, მაშასადამე, მასწავლებელი თუ შრომის მიხედვით არ იქმნა დაჯილდოვებული, თუ მისი აწმყო და მომავალი ნივთიერად საშუალოდ მაინც არ იქმნა უზრუნველ ყოფილი, ძნელია კაცმა მოსთხოვოს მას მუდმივი და ასე სამძიმო მოვალეობის აღსრულება. აწმყოში ნივთიერად შეავიწროვებული, მომავალში „არარის“ მომლოდნე მასწავლებელი თავისდა უნებურად შეაფერხებს სწავლა-აღზრდის საქმეს, თავისვე უნებურად უკან დასწვეს სკოლის ნაყოფიერ მოქმედების.

ყველა ეს მოსაზრება იმოდენათ მარტივი და საერთოთ ცნობილი შეშმარიტებაა, რომ მისი განმარტება მეტიღა მიგვაჩნია. თუ წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლების მდგომარეობას აღნიშნული მოსაზრების მიხედვით გავითვალისწინებთ, მაშინ ამ სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა მაინცა და მაინც ვერაფერს სანუგეშო სურათს წარმოადგენს. მართალია, საზოგადოების გამგეობა შეძლების დაგვარად ზრუნავს მასწავლებლების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, მაგრამ მათი მდგომარეობა ჯერ-ჯერობით კიდევ არა სასურველია.

მასწავლებლის წლიური ჯამაგირი შედარებით მცირეა, ხოლო რაც შეეხება მომავალში მათ ნივთიერად უზრუნველ-ყოფას, ამ მხრით მათთვის ჯერ-ჯერობით არა გაკეთებულა რა. სწორეთ, ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს თავი და თავი მიზეზი იმ სამწუხარო გარემოებისა, რომ საზოგადოების სკოლების მასწავლებლები ძრიელ ხშირად სტოვებენ თავიანთ ადგილებს და გადადიან სხვა უწყებათა სკოლებში. ამიტომ საზოგადოების სკოლების უფრო მკვიდრსა და ნაყოფიერს ნიადაგზე დამყარებისათვის, საჭიროა მასწავლებლების ნივთიერ პდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

საზოგადოება ამ ფრიად უსაჭიროესს საქმეს ღირსეულად განახორციელებს ყველა სკოლების მასწავლებლებისა და თვით საზოგადოების კანცელარიაში მოსამსახურე პირთათვის „საპენსიო კასსის“ დაარსებით, თვითოეული მასწავლებელი და კანცელარიაში მოსამსახურე პირი დიდის სიამოვნებით გადასდებს საპენსიო კასსისათვის თავისს ჯამაგირიდან 5%, ოღონდაც კი მომავალში იგი სრულიად უმწეო და უნუგეშო არ დარჩეს. ამასთანავე საჭიროა საზოგადოებამ დაადგინოს რომ საზოგადოების ყოველგვარ შემოსავლიდან ამდენივე პროცენტი „საპენსიო კასსის“ თანხის გასადიდებლად ირიცხებოდეს.

ამგვარი კასსის დაარსება მეტს ხალისსა და ენერგიას ჩაუნერგავს გულში ჩვენს მასწავლებლებს და მით საზოგადოების სკოლების კეთილ ნაყოფიერება ერთი ორად იმატებს.

ჩვენში პირველ დაწყებითი სკოლები რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოქმედებენ. ყველასათვის აშკარაა, რომ მდაბიო ხალხი ზოგჯერ უკმაყოფილო თვალით უყურებს დღევანდელ სკოლას, რადგანაც, იმათის აზრით, იგი ვერ აწვდენს მათს შვილებს შესაფერსა და სოფლისათვის გამოსადეგს ცოდნას. ხალხის ამგვარი შეხედულება არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენის სოფლის ღრმა მცოდნემ, ჩვენმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა, შ. არაგვისპირელმა, როგორც გვახსოვს, ამ ხუთი-ექვსის წლის წინეთ სოფლის ცხოვრებიდგან ხელოვნური ეტიუდი დასწერა, სადაც გლეხი პირდაპირ პროტესტს აცხადებს სკოლის დაარსების წინააღმდეგ.

მართლაც, დღევანდელი პირველდაწყებითი სკოლების ვითარება ვერაა ისე მოწყობილი, რომ ხალხი სრულის ნდობით და იმედით უყურებდეს მას. სოფლელს ბევრი ჭირი და ვარამი აწვევს კისერზე და, მაშასადამე, თუ ფულს გაიღებს სკოლის დაარსებისათვის, უთუოდ იმ მოსაზრებით, რომ სკოლა მომავალში ოდნავ მაინც შეუსუმბუქებს ყოველ-დღიურ მძიმე და აუტანელს უღელს. თუ ეს იმედი სოფლელს გაუცრუვდა, თუ სკოლამ მართლაც ვერ გაუწია შესაფერი წინამძღოლობა და დახმარება, რა თქმა უნდა, იგი ყოველთვის უნდობლად მოეპყრობა სკოლას და კიდევაც მისი წინააღმდეგი გახდება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები, თუ სულ არა, ნახევარი მაინც აღნიშნულ პირობების მორევში მოქმედებენ. ამიტომ საჭიროა საზოგადოებამ დააყენოს თავისი სკოლები ისე, რომ ხალხი ნდობის თვალით უყურებდეს. ჩვენის აზრით, ერთ ამ გვარ საშუალებად კარგი იქმნებოდა, რომ საზოგადოება თავის სკოლების უკეთეს შეგირდებს საზოგადოებისაგან ხარჯით აღზრდიდეს რომელსამე საშუალო სასწავლებელში. რამდენიმე სტიპენდიანტის შენახვა საზოგადოებას მაინცა-და-მაინც არ გაუჭირდება, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი დიდის ნდობით და სიყვარულით მოეკიდება სკოლას, რაიც სკოლის კეთილ დღეობის საქმეს მეტად ხელს შეუწყობს. სტიპენდიანტების საზოგადოების ხარჯით აღზრდას, რასაკვირველია, დაედება სარჩულად უმთავრესად ის მოსაზრება, რომ ეს შესაფერი სწავლით აღჭურვილი ახალგაზდობა დაუბრუნდეს სამოღვაწეოდ თავის სამშობლო კერას.

სკოლების ნაყოფიერ მოქმედებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ საზოგადოების სკოლის მასწავლებლები წელიწადში ერთხელ ერთად იკრიფებოდნენ და თავიანთ გამოცდილებას და დაკვირვებას ერთი მეორეს უზიარებდენ, ერთი მეორის თანა-დასწრებით სამაგალითო გაკვეთილებს აძლევდნენ. საზოგადოების სკოლათა მასწავლებელთა შორის ზოგი მართლაც კარგად გამოცდილი და დახელოვნებული პედაგოგია და, მაშასადამე, მათი სამაგალითო გაკვეთილები საგულისხმიეროდ დარჩება უფრო ნაკლებად გამოცდილთათვის. აშკარაა, რომ ამგვარი საერთო კრებანი დიდ სარგებლობას მოუტანენ სკოლებს და მით საზოგადოების პირდაპირ მიზანს ერთი-ორად გაანაყოფიერებენ. ამიტომ საჭიროა, საზოგადო კრებამ დაადგინოს, რომ გამგეობამ ყოველ წლივ ტფილისსა ან ქუთაისში გამართოს მასწავლებელთა საერთო კრება, პედაგოგიური საუბარი, აზრების გაზიარება და სამაგალითო გაკვეთილები.

საზოგადოების წიგნთ-საცავში დიდძალი ძვირფასი ხელთ ნაწერები მოიპოვება, ხოლო უბედურება ისაა, რომ ეს ხელთნაწერები ჯერ-ჯერობით ცნობაში არ არის მოყვანილი, არ არის ჯერ-ჯერობით გარჩეული, თუ რომელი ხელთნაწერი რა შინაარსისაა. საზოგადოებას კიდევაც რომ შეძლება ჰქონდეს და მათი ბეჭდვის საქმეს შეუდგეს, ძნელია კაცმა გაარჩიოს, რომელია მათგანი სასარგებლო და რომელი არა. ამიტომ კარგი იქმნება საზოგადო კრებამ გადასდოს საჭირო თანხა ხელთნაწერის დაწვრილებითი კატალოგის შესადგენად, სწორედ იმ გვარი კატალოგისა, როგორიც შეადგინა ბ-ნმა თ. ჟორდანიამ საეკკლესიო მუზეუმის ხელთნაწერებისათვის.

ყველა ჩვენი მოხსენებული საშუალებანი, რასაკვირველია, მოითხოვენ შესაფერს ხარჯსაც და, შესაძლოა, საზოგადოებამ პირველ ხანებში დეფიციტიც ნახოს, მაგრამ საზოგადოება ამას არ უნდა შეუშინდეს, დეე ასეც მოხდეს, ოღონდ-კი განხორციელდეს ის დიადი აზრი, რომლისათვისაც დაარსებულია სამოღვაწეოდ თვით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ა. ყუმისთაველი

დაბალ სოფელი

—

ს. ხოვლე (გორის მაზრა). წელს ჩვენში, როგორც გორის მაზრის სხვა სოფელში, ჭინახული ძალიან ცოტა მოვიდა. უფრო ნაკლებად პური და ქერი მოვიდა. სიმინდის კარგი მოსავალია, მაგრამ გახშირებული წვიმები ხელს უშლის იმის დროით სახლში მოტანას. ვენახებიც ძალიან გაფუჭდა ჩვენში გაზაფხულზედ დიდი წვიმებისა, სიცხისა, ხოლო შემდეგ ხან გამოშვებითი სეტყვის გამო. ყოველ წელიწადს, უსიამოვნო სტუმარსავით რამდენჯერმე გვეწვევა ხოლმე სეტყვა. ჩვეულებისამებრ, არც წელს დაგვტოვა უნუგეშოთ. თუ კვლავ ხალხი საწნახლებს და დიდრონ საწურავ ამბრეკს რეცხავდა სართვლოთ ყურძნის დასაწურათ, ეხლა პატარ-პატარა გოდრები ჰყოფნით, რომ გამოჭყლიტონ წლევანდელი მოსავალი. ხალხი მეტის გულ-გატეხილობით ძალიან ადრე შეუდგა ყურძნის კრეფას.

ხოვლეში არსებობს სამ განყოფილებიანი სამინისტროს სასწავლებელი. საუბედუროდ, ეს სასწავლებელი მოკლებულია მთავრობის ყურადღებას. ეს მეორე წელიწადია მასწავლებელს, რომელიც მეცადინეობას არ აკლებს და გულ-მოდგინეთ ასრულებს მოვალეობას, მეცადინეობა ვერ დაუწყვია ახლად მიღებულ ბავშვებთან, რადგანაც არ გამოუგზავნეს არც შარშან და არც წელს საჭირო სახელმძღვანელოები. არ ვიცით, თუ როდემდის გასტანს ესრეთი გულგრილობა და სრულიად დავიწყება ამ სასწავლებლისა. ამ სკოლის მასწავლებელმა რამდენ ჯერმე აუწყა ვისთანაც ჯერ არს მისადმი რწმუნებულის სკოლის ამბავი, მაგრამ ჯერ მაინც ყურადღებას არავინ აქცევს. რა გულით უნდა იმეცადინოს ამის შემდეგ მასწავლებელმა იმ ათიოდე ბავშვთან, რომლებსაც ძველი წიგნები დაურიგა და რვეულები თავისი ხარჯით უყიდა.

ვ. დეკანოზიშვილი

—

სოფ. ხარაგაული (შორაპნის მაზრა). წარსულის თვის ოცდა სამს იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა აკურთხა ხარაგაულის ორ-კლასიანი სამეურნეო-საეკლესიო სკოლის ტაძარი. ყოვლად-სამღვდელო კრებულითურთ მობრძანდა წინა დღით. თუმცა დიდი წვიმა იყო, მაინც მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი სკოლის გარშემო. ყველას სწყუროდა თვალით დაენახა პირველად თვისი საყვარელი მწყემსთ-მთავარი, ესდენ ძვირფასი იმერეთის სამწყსოსათვის, ბ. საზოგადო სიხარულში მონაწილეობა მიეღო. საღმრთო ლიტურგია ახლად ნაკურთხს ტაძარში ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა შეასრულა იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო სკოლების მეთვალყურე მღვდ. მელიტონ კელენჯერიძის და სხვათა თანამწირველობით.

„განიცადენზედ“ მშვენიერის მინაარსისა დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ტაძარში სკოლის მასწავლებელმა ბ. კ. კელენჯერიძემ. ამ სიტყვაში მან აღნიშნა ის ღვაწლი, რომელიც სკოლისა და ტაძრის დამაარსებელს, მღვდელს რომანოზ დეკანოსიძეს მიუძღვის საზოგადოების წინაშე. წირვის შესრულების შემდეგ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა, რომელსაც აუარებელი ხალხი ელოდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად და მოძღვრების მოსასმენად სკოლის ეზოში, მარტივისა და ღრმა აზროვანი სიტყვით მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას. ამ სიტყვაში ყოვლად-სამღვდელომ თვისი უღრმესი გულითადი მადლობა გამოუცხადა მღვდელს რომანოზ დეკანოსიძეს, რომელმაც თავისის საკუთარის ხარჯით აღაშენა ორ-კლასიანი სამრევლო საეკკლესიო სკოლის შენობა და ამავე სკოლის ტაძარი და შესწირა მას საკმაო ადგილი. მართლაც და მადლობის ღირსია ეს უანგარო მწყემსი ამ ფრიად სასარგებლო და წასაბაძ საკეთილო მოღვაწეობისათვის, რომლის მაგალითიც ჩვენში იშვიათია...

შინაურულად განსწავლილმა სიფლის მღვდელმა თვისს სამშობლო სოფელს ასეთი უძვირფასესი საჩუქარი უძღვნა და ამ საქმეს მოახმარა 10,000 მანეთზედ მეტი საკუთარი ფული...

ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა დაათვალიერა სკოლის ოთახები, მასწავლებელთა საგზომები და ყოველივე სკოლის მოწყობილობა და ფრიად მოიწონა...

ამ სკოლაში დღეს სამი მასწავლებელია: ერთი საღმრთო სჯულისა და ორიც საგნებისა. წირვის დროს 23-ს ენკენისთვეს სკოლის მოწაფეთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი ჰგალობდა რუსულადა და ქართულად მასწავლებლის ბ. ღვალაძის ლოტბარობით. რუსული გალობა უფრო კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზედ, ვინემ ქართული გალობა. სჩანს, მასწავლებელი ბ-ნი ღვალაძე ქართულის გალობის შეთვისებას მოსწავლეთაგან ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევს, ან ეს საგანი სუსტად იცის. ქართულად მოსწავლეთა გუნდი ცუდადა ჰგალობდა და მსმენელები უკმაყოფილონი დარჩნენ. იმედია, სკოლის გამგე მღვდელი მამა რომანოზ დეკანოსიძე ამ საგრძნობელს ნაკლულევანებას მისდამი რწმუნებულს სკოლაში ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს.

ბზიკი

უცხოეთი

—

ინგლისი. გაზეთი „Times“-ს ნიუკესტლიდამ (ნატალის ქალაქია) შემდეგი დეპეშა მიუღია: „გენერალი ბოტა დარწმუნდა, რომ თავისი 2000 კაცით ვერაფერს გააწყობს, და ამიტომ ჯარის კაცები დაითხოვა; ჯარის კაცებმა თავიანთის თავის გადარჩენაზე თითონ უნდა იზრუნონ. თითონ ბოტამ რამდენიმე ბურით შეარჩია დრო და ჩრდილოეთისაკენ გაიკაფა გზა. სად არის ბოტა ეხლა — ნამდვილად არ იციან.

შვეიცარია. საფრანგეთიდამ გამოძევებული კონგრეგაციები შვეიცარიაში იხიზნებიან. უკვე რამდენიმე თვეა შვეიცარიელთა ყურადღებას იქცევდნენ საეჭვო პირები, რომლებიც დიდრონს შენობებს ქირაობდნენ და თავიანთს გემოვნებაზე აწყობდნენ უმთავრესად კათოლიკეთა კანტონებში, ვალისსა და ფიბურგში; თანდათან ბერებმა პროსტანტთა კანტონსვოშიც ამოჰყვეს თავი. ვომ პირველმა მიაქცია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება, მოკრიფა საჭირო ცნობები და წარუდგინა იუსტიციის და პოლიციის დეპარტამენტს განკარგულების მოსახდენად. გაზეთები და საზოგადოება თხოულობენ, მთავრობამ ეხლავე მიიღოს ზომები იმათ წინააღმდეგ.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის რეიხსტაგის 5 ოქტომბრის სხდომაზე პირველ ვიცე-პრეზიდენტად პრადეს მაგიერ არჩეულ იქმნა გერმანელ საერო დასის მეთაური კაიზერი. კენჭის ყრის რეზულტატს მემარცხენენი სიხარულით მიეგებნენ; მლადო-ჩეხები და პანგერმანელები ნიშნად პროტესტისა სხდომის დარბაზიდამ გამოვიდნენ. კაიზერმა მადლობა გამოაცხადა და სთქვა, რომ ის თავის მოქმედებაში დასებრივის ინტერესებით არ იხელმძღვანელებს.

— ავსტრიის რეიხსტაგის გახსნის წინა დღით მლადო-ჩეხების ორგანოს „Narodni Listy“-ში დაიბეჭდა მეთაური წერილი, რომელშიაც საყვედურს უცხადებენ მინისტრ-პრეზიდენტს კერბერს. კერბერი სიტყვით არც ერთს ეროვნებას არ ესარჩლება, მაგრამ საქმით-კი გერმანელებს ესარჩლებაო. კერბერის მეცადინეობით გერმანელებს 20 ხმა ერგოთ დიდრონ მიწადმფლობელების კურიიდამ; ჩეხებმა-კი, მიუხედავად კერბერის დაპირებისა, სამაგიერო არაფერი მიიღეს. დასასრულ გაზეთი ამბობს: კერბერი ან მართლი ნეიტრალურის ტაქტიკით უნდა ჰმოქმედებდეს ან არა და თავის თანამდებობას უნდა გამოეთხოვოსო. სტარო-ჩეხების გაზეთი „Hlas Naroda“ სწერს, კერბერს განზრახვა აქვს პარლამენტი შეჰქმნას ჩეხების დაუხმარებლად, პოლონელთა კლუბის შემწეობით და იმაზე დაამკვიდროს თავის სამინისტრო, მაგრამ, გაზეთების სიტყვით, პოლონელებიც უკმაყოფილონი არიან მთავრობისაო. გალიციაში ერთი პოლიტიკური მიმართულებაა, რომელიც სცდილობს პოლონელების და გერმანელების შეთანხმებას, მთავრობა და გერმანელები დიდი მომხრენი არიან ამ შეთანხმებისა, მაგრამ, „Hlas Naroda“-ს აზრით, ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ პოლონელთა კლუბი თანახმა იყოს გერმანელებთან შეთანხმებაზე. უჩენებოთ პარლამენტში უმრავლესობის შედგენა სრული უაზრობაა, თუ კი ჩეხების კლუბი გონივრულის ტაქტიკით იმოქმედებენო“, სწერს სტაროჩეხების გაზეთი.

ესპანია. სენატის მოქმედება დაიწყო რელიგიურ საზოგადოებათა საკითხის განხილვით; საგასტამ განაცხადა, მთავრობა ასოციაციათა შესახებ არსებულის კანონით ხელმძღვანელობსო. ამის შემდეგ, სიტყვა ჩამოვარდა სევილიის საქმეებზე; მმართველობამ წაიკითხა სევილიის გუბერნატორისაგან მიღებული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იქ მშვიდობიანობა უკვე აღდგენილია.

ოსმალეთი. „Moniteur Ottoman“-ში ოსმალეთის პატრიოტი ფაიქ-ფაშა სწერს, თითონ ხონთქარს, აბდულ-გაბიდს ყველაზედ უკეთესად ესმის, რომ ოსმალეთის დღეები უკვე დათვლილია. ამიტომ ის ერთის მხრივ იმაზედ-ღა ფიქრობს, რომ დიდძალი ჯარი იყოლიოს და მოსკოველებს, რომელთაც დააქვეითეს ოსმალეთი, სამაგიერო გადაუხადოს მომავალს ევროპის ომში იმათ მოპირისპირეს დახმარების აღმოჩენით, და მეორე მხრივ, სცდილობს ისლამი გაავრცელოს ჩინეთსა და იაპონიაში. ამ აზრებით გატაცებული ხონთქარი უყურადღებოდ სტოვებს ოსმალეთის აღორძინების ინტერესს და ჰფიქრობს, რომ ყოველივე რეფორმა ისლამის ერთგულების შემასუსტებელი იქნებაო. ხონთქარის თანამოაზრეა ოსმალეთის არისტოკრატიის თითქმის ორი მესამედი და ამიტომ, ფაიქ-ფაშას აზრით, ამ მიმართულებას მლადოტურკებმა ანგარიში უნდა გაუწიონო.

ავგანისტანი. ერთის გაზეთის სიტყვით, ახალის ემირის ხაბიბულას მისწრაფებას შეადგენს სამის მაჰმადიანურის სახელმწიფოს კავშირი: ოსმალეთის, სპარსეთის და ავგანისტანისა. ეს კავშირი ავგანისტანს დამოუკიდებელ ჰყოფს ინგლისისაგანაც და რუსეთისაგანაც.

სამხრეთი აფრიკა. ბურებმა დაიჭირეს ქალაქი მალმესბიური. ეს ქალაქი 50 ვერსის მანძილზე მდებარეობს კაპშტადტიდამ. მალბესბიურის მიდამოები ძალიან მდიდარი ადგილებია პურით; ბურებს ალბად სწორეთ პურის შოვნა უნდოდათ. კაპშტადისაკენ ბურები ჯერ არ გაიწევენ; ისინი ზღვის დაახლოვებას უფრო ეტრფიან. ჰფიქრობენ, რომ ბურებს განზრახვა აქვთ დაიჭირონ სრუტე სალდანი.

დელარეის რაზმიდამ ბურები ხშირად თურმე მიდიან პრეტორიაში ნაცნობების სანახავათ. კრიუგერის მეუღლის დასაფლავებაზე, სხვათა შორის, 12 კაცი ყოფილა. აქედამ სჩანს, რა ადვილად დასრიალობენ ბურები ინგლისის ჯარებით ვითომდა გამაგრებულს ადგილებში.

შეერთებული შტატები. რუზველტი ენერგიულად შეუდგა თავის განძრახვის, ამერიკის ფლოტის გაძლიერების, ასრულებას. მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ფლოტის გასაუმჯობესებლად შეტანილია 98,910,984 დოლლარი; შარშან ამ საგნისათვის გადადებული იყო 77,924,535 დოლლარი. გარდა ამისა, ზღვათა სამინისტრო რუზველტის თანახმობით წარუდგენს კონგრესს სამის ახალის სამხედრო გემის, ორის ჯავშნიანის გემის და 12 სამხედრო ხომალდის აშენების პროექტს.

მაკედონია. ოსმალეთის ჯარებს უკვე რამდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და ამ ჟამად როგორც ოფიცრები, აგრეთვე სალდათები დიდს გაჭირებაში არიან; ნისიათ აღარავინ რას აძლევს და ფული კი არა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მმართველობა ყოველივე სასჯელს აყენებდა უკმაყოფილო ჯარის კაცებს, ბიტოლიასა და პრიშტინში პირდაპირი ამბოხება მოახდინა ჯარმა. ამბოხება ძალიან გავრცელდებოდა და საშიშარი შეიქნებოდა, დროზე რომ კონსტანტინეპოლიდამ ბრძანება არ მოსულიყო, ჯარი პატარ-პატარა რაზმებათ დაყავით და თითო რაზმი თითო ქრისტინეთა სოფელში ჩაეყენეთ, სოფლის მცხოვრებლებმა უნდა ჰკვებონ ამ ბრძანებით მათთან დაყენებული რაზმები უსასყიდლოდ. ამ გვარად ეხლა ყველა სოფელი მაკედონიაში 50—100 ჯარის კაცს და 5—6 მათს ოფიცერს ჰკვებავს. აშკარაა, სოფლელები დიდად უკმაყოფილო არიან; იმათ კოლლექტიური თხოვნა მიართვეს ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ამის თაობაზე, მაგრამ ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღიათ. ამბობენ, ბევრმა სამშობლოს მიტოვება და უცხო ადგილებში გახიზვნა დაპირაო.

გაკვრით.

—

საპუბლიცისტო რეცეპტი

ვისაც ჰსურს თვალსაჩინო და ნიჭიერი პუბლიცისტი გახდეს, უნდა შეიძინოს რომელიმე ციფირებით აჭრელებული წიგნი ინგლისის, ან საფრანგეთის, ან კიდევ რომელიმე სხვა ევროპის სახელმწიფოს ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ, გადაწეროს ეს ციფირები სუფთა ქაღალდზე ისე-კი, რომ რიცხვებს შუა შიგა-და-შიგ ცარიელი ადგილი დასტოვოს და შემდეგ ამ ადგილებში ჩასწეროს ეკონომიურის მეცნიერების საყვარელი ტერმინები: კაპიტალიზმი, მსხვილი მრეწველობა, ცენტრალიზაცია, ბურჟუაზიული მიმართულება, ლიბერალური მოძღვრება, პროლეტარიატის ზრდა, მუშათა ინტერესები, რვა საათის სამუშაო დღე, ფეოდალების განადგურება, ფეოდალური მიმართულება, წვრილი მრეწველობა, კაპიტალის კონცენტრაცია, აღორძინება მრეწველობისა და სხვა, რაც შეიძლება ბლომად. ბოლოს მიაწეროს: „ამ ნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ წვრილი მრეწველობა თან-და-თან ადგილს უთმობს მსხვილს მრეწველობას; ეს საყოველთაო კანონია და ამ კანონს ექვემდებარება ჩვენი ცხოვრებაც, რომლის შესახებაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.“ ორი ან სამი ამ გვარი წერილი სრულიად საკმარისია, რომ თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი შეიქნეთ. უეჭველია, ეს მძიმე შრომას მოითხოვს თქვენგან, მაგრამ უშრომოდ, ხომ მოგეხსენებათ, არაფერი იქნება. მაინცა-და-მაინც თავს ძალიან ნუ შეიწუხებთ, შეამცნევთ თუ არა, რომ საზოგადოებაში უკვე სახელი მოიხვეჭეთ, შეგიძლიანთ თვეში ერთხელ რაიმე საზოგადოების პროექტი შეადგინოთ და იმის შესახებ სწეროთ. ნუ შეუშინდებით იმას, რომ ეს საზოგადოება ქიმიერიული იქნება და ფანტასტიკური. ქართველი მკითხველი უეჭველი პროექტს მოგიწონებთ, თქვენი სახელიც გაახსენდება და თქვენი პუბლიცისტის რეპუტაცია უფრო გამტკიცდება.

რაუ

წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ. სუხუმის მცხოვრებს ბ-ნს ნიკოლოზ გიორგის ძეს ჩიქოვანს, რომელმაც ხონის დედათა პროგიმნაზიაში ღირიბ მოსწავლეთათვის განსვენებულის თავისის დედის ფოტინე დავითის ასულის ჩიქოვანის სახელზედ სტიპენდია დააარსა ფულის შემდეგის განაწილებით: ბ-ნი ნ. გ. ჩიქოვანი ყოველ წლივ შემოიტანს 50 მან., რომლიდგანაც 30 მან. გარდაეცემა პროგიმნაზიის უფროსს სწავლის ფულად, ხოლო დანარჩენი 20 მან. თვითონ მოწაფეს ტანსაცმელისა და სასწავლო ნივთებისათვის.

ხონის პროგიმნაზიის უფროსი ელენე ბახტაძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

—

12 ოქტომბერი.

პეტერბურგი. განხილულ იქმნა ხარკოვის პალატის პროკურორის პროტესტი, შეტანილი ამავე პალატის განაჩენზე, რომელიც დადგენილი იყო ქარხანაში „რუსეთის პროვიდახსი“ მომხდარ უწესოების გამო. სენატმა დაადგინა: გაუქმებულ იქმნას განაჩენი შესახებ შემდეგ ბრალდებულთა გამართლებისა: მოროზოვისა, ნიკოლაიჩიკისა, პისკარევისა, ბუბლიკოვისა, ორლოვისა, პუხისა, ფოკინისა, მარტინოვისა, იამჩინინისა, კონისა, ზლობინისა, ბონადარევისა, კულინისა და გრაშჩუნისა და საქმე გადაეცეს იმავე პალატას ხელ-მეორედ განსახილველად სხვა მსაჯულთა მიერ.

ტიუმენი. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მდინარე ობის შესართავში ნაპოვნ ჩონჩხის ძვლები ყოფილა ვეშაპისა და არა მამონტისა. ეს გარემოება უფრო უმატებს მნიშვნელობას ნაპოვნ ჩონჩხსა.

კიევი. დიდის ამბით აკურთხეს ეკკლესია, აგებული სასულიერო სემინარიის ახალს შენობაში. შენობა აგებულია 550 მოწაფისათვის.

მდინარე დესნანზე ნავოსნობა მოისპო.

კოპენგაგენი. დღეს გარდაიცვალა ფლენსბურგში წარმომადგენელი ქალაქის ფლენსბურგისა გუსტავ იოგანსენი. რეიხსტაგის წევრთა შორის იოგანსენი ერთად ერთი დანიელი იყო.

ყაზანი. ვოლგას ნავთ-სადგურების მახლობლად დაიწვა ხუთი შენობა დუქნებითა და საქონლის საწყობებით. დაიწვა გლეხი დედაკაცი, რომელიც სცდილობდა თავისი ფული გადაერჩინა.

ბერლინი. დღეს, საღამოთი, გამოცხადებულ იქმნება ამბავი მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის 35,880,000 გერმანულ მარკის ობლიგაციების გამოცემისა და ლომის რკინის გზის 11,660,000 გერმანულ მარკის ობლიგაციებისა. ობლიგაციები გამოიცემა 17 ოქტომბერს. ფასი ერთ-ერთ კურსი—46%. ეს ორთავე სესხი რუსეთის მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილის 80 მილიონ გერმანულ მარკის რკინის გზის 4%-ან ობლიგაციების მონარჩენს წარმოადგენს.

რომი. „Patria“-ს სიტყვით, ვატიკანის მმართველობას განუზრახავს პეკინში თავისი სადიპლომატო წარმომადგენელი იყოლიოს.

ჩიკაგო. კასსონი, რომელიც საურთიერთო ხელთშეკრულობის დადების დროს წარმომადგენელიად იყო, გუშინ მხნედ გამოესარჩლა ხელთშეკრულობის პოლიტიკასა და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ხელთშეკრულობით შეიძლება ვებრძოლოთ იმ საფთხეს, რომელიც ამერიკის ვაჭრობას მოელის.

პარიზი. მონსო-ლე-მინში ასი თოფი უკან იქმნა დაბრუნებული. ხვალ სახლების ჩხრეკას შეუდგებიან. ყველგან მშვიდობიანობაა; ნაციონალისტთა პრესსა მელინის წრეს ამტყუვნებს, რომ სამშაბათს სამინისტროს მიემხრო.

სიმლა. ავღანის ემირის აბდურახმანის სიკვდილის ამბავმა გერატში არავითარი მღელვარება არ გამოიწვია; ყოველივე ძველებურად დამშვიდებულია; ჯარებმა ხაბიბულა ემირს შეჰფიცეს.

განცხადება



როიალები



ჰიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.